



<http://ajaratv.ge> (Courtesy Photo)

კოალიცია "მედიის ადვოკატირებისთვის" ნათია ზოიძის განცხადებას ეხმიანება

2019 წლის 03 ივნისს გავრცელდა სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის [ღია წერილი](#).

ნათია ზოიძე აცხადებს, რომ მრჩეველთა საბჭო არის პოლიტიკურად მოტივირებული და რომ ნათია ვაჰანიძის უნდობლობიდან დაწყებული ეს პროცესი არის პოლიტიკური ინტერესის ქვეშ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ასევე ამბობს, რომ საბჭოს მხრიდან ადგილი აქვს მის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობას.

ამავდროულად, საბჭოს წევრი - ბეჟან გობაძე [საუბრობს](#), რომ ორი წევრი, რომელმაც ნათია ვაჰანიძის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო, ისევ ერთობლივად ცდილობენ სამთავრობო ვანდიდატის ლობირებას.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ვფიქრობთ, რომ აღნიშნული განცხადებები კიდევ უფრო მეტ კითხვას აჩენს ბოლო პერიოდში აჭარის ტელევიზიის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე და აძლიერებს საზოგადოებრივ მაუწყებელში განვითარებულ პროცესებში პოლიტიკურ საფუძველს.

კოალიცია „DIIIIII“ ადვოკატორებისთვის იქნევს, რომ აუცილებელია პროცესებში ჩართულმა ყველა პირმა უზრუნველყოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, რათა შევინარჩუნოთ პოლიტიკური ზეგავლენისგან დამოუკიდებელი მაუწყებელი.

ასევე, მნიშვნელოვანია ჟურნალისტებს ჰქონდეთ რწმენა, რომ მათ შეუძლიათ პროფესიული საქმიანობის თავისუფლად განხორციელება, რომ ისინი არ გახდებიან ინსტრუმენტი სხვადასხვა პირთა ინტერესების სასარგებლოდ.

კოალიცია "მედიის ადვოკატორებისთვის" ყურადღებით აკვირდება აჭარის ტელევიზიაში მიმდინარე პროცესებს და იმედს იტოვებს, რომ ამ პროცესში მონაწილე ყველა პირი ისაუბრებს საჯაროდ და პროცესების გამჭვირვალობა ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობის შენარჩუნებას.

კოალიცია "მედიის ადვოკატორებისთვის" წევრები:

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

მედიაკლუბი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ღია საზოგადოების ფონდი

რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი

ლიბერალური აკადემია თბილისი

საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია

სატელევიზიო ქსელი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორთა ასოციაცია

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა